

მოგახსენებთ, რომ კიბერუსაფრთხოებისა და ციფრული სამართლებრივი ექსპერტიზის ბრიტანული კომპანია „საიფორ“-იდან მივიღეთ კიდევ ორ აუდიო ჩანაწერზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა. ერთი ჩანაწერი მოიცავს ზაზა ოქუაშვილის, ირაკლი ჩუბინიშვილისა და ვანო ჩხარტიშვილის საუბარს, ხოლო მეორე ჩანაწერი კი მოიცავს ლევან ყიფიანისა და ომეგას მენეჯერების საუბარს.

პირველ აუდიო ჩანაწერში საუბარია საერთო კომპანიის შექმნაზე, სადაც ერთ-ერთ მეწილედ შემოდიოდა ე.წ. „ფონდი“, რომელსაც ირაკლი ჩუბინიშვილი განმარტავდა როგორც „პარტია“-ს.

პირველი აუდიო ფაილის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით დადგინდა:

აუდიო ფაილი შედგება სხვადასხვა სექციებისაგან, აღებული ერთი ვრცელი აუდიო ფაილიდან, რომლის ჩაწერაც მიმდინარეობდა უწყვეტად. შესაბამისად, ვანო ჩხარტიშვილისა და მისი ადვოკატის განცხადება, რომ თითქოს ეთერში გასულ აუდიო ჩანაწერში დამონტაჟებულია 6 სხვადასხვა შეხვედრის საუბარი, სიმართლეს არ შეესაბამება.

დასკვნის მიხედვით ასევე გამოირკვა ის მონაკვეთები, რომლებიც უწყვეტად მიმდინარეობს. მოგახსენებთ უწყვეტი მონაკვეთებიდან რამდენიმე საკვანძო ფრაგმენტს, რომლებიც შესაბამისმა პირებმა წარმოთქვეს შეხვედრის დროს:

**„ირაკლი ჩუბინიშვილი: ვერტიკალი ჩვენი ურთიერთობის როგორც მე მივხვდი შემოიფარგლება უჩათი.**

**ამ ქუმსიშვილს ვითომ, მკაფიო მითითება აქვს, რომ ჩემი პასუხისმგებლობა არისო, რომ დემპინგს არ გავაკეთებინებო**

**ზაზა ოქუაშვილი: აქამდე რომ აკეთებინებდა?!“**

---

**ირაკლი ჩუბინიშვილი: ეხლა რომ დავუბრუნდეთ ამ სადისტრიბუციო კომპანიას - ეგენი ამბობენ, რომ არაო, ეს უნდა გაკეთდესო როგორც სადისტრიბუციო კომპანია, საერთოო. პროსტა ცარიელ კომპანიას რა აზრი აქვსო და არ გვინდაო. სახელის პრობლემა და დირექტორის პრობლემა არაგვაქო. ომეგა ერქვასო. დირექტორი იყოსო და უბრალოდ გაიყავითო დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო ერთმანეთშიო, შენ გადაწყვიტე რომელი ჯობია მაგ ორში.**

---

**ზაზა ოქუაშვილი: უჩა ის არის ხო პირდაპირ ბიძინა ფაქტიურად.**

ირაკლი ჩუბინიშვილი: ხო ეგ არის და ამბობს, რომ მე მივხედავო. თქვენ ნუ გეშინიათო. უბრალოდ ცარიელი კომპანია არ გვინდაო. გვინდა კომპანია, რომელსაც ექნება ფასიო რა და ამიტომ რეალური კომპანია გავაკეთოთო რა და ის იმუშაოსო. სახელი ჩვენ არ გვაიტერესებსო.

---

ზაზა ოქუაშვილი: ეს ფონდი რა არის ფონდი?

ირაკლი ჩუბინიშვილი: მე ვუძახი ფონდს მაგას რა

ზაზა ოქუაშვილი: გასაგებია ხო იმიტომ რომ ფონდი მე მეგონა ან საინვესტიციო

ირაკლი ჩუბინიშვილი: მე უძახი ფონდს აბა რა დაუძახო პარტია? პარტიის დაძახება არ მინდა რა არც ლაპარაკში და არც იმაში რომ ვილაცამ შემთხვევით არ გაიგოს რომ პარტიას ფულს ვაძლევთ, თვითონ მემგონი პარტიას უძახიან

ზაზა ოქუაშვილი: პარტიის უძახიან თვითონ?

ირაკლი ჩუბინიშვილი: მემგონი. მე ვუძახი ფონდს, რომ ფონდში... აბა რა დაუძახო?

---

ვანო ჩხარტიშვილი: მე მაგის გარეშე ველაპარაკებოდი რათქმუნდა უფროსს. მაგ ჩვენი მეგობრის გარეშე - ოთარის გარეშე. მე ვუთხარი არ შეგვხმინებია უბრალოდ. ხო და ცოტა გაბრაზებული იყო უფროსი მაგაზე და მემგონი დარეგულირდა ეგეც რა და ალბათ ისევე დათბება რა სიტუაცია. ერთი ის მხოლოდ რო ამ გაუგებრობებმა დააჩქარა ეს რომ ფინანსური პოლიცია გავიდა მაგათი ხელიდან და გადავიდა იმაში - ქუმსიშვილთან.

---

ასევე წყვეტა არ შეინიშნება შემდეგ ფრაზებში:

- ვანო ჩხარტიშვილი: სხვა გამოსავალი არ არის მოკლედ რა უფროსი უფროსთან ყოველდღე კავშირი მაქვს....
- ვანო ჩხარტიშვილი: ეგეც ეხლა ჩვენი უფროსი მეგობარიც ძალიან მონდომებულია მაგაზე მეუბნება რომ რა გინდათ ყველაფერი გააკეთეთ დოკუმენტები თუ რამეა ყველაფერი....
- ვანო ჩხარტიშვილი: მოვამთავროთ ერთიანად ვიწყებთ მუშაობას ირაკლი თორე ეს გაიწელება გაიწელება ამიტომ იქ ჩვენ ჩვენ ვისთანაც ვსაუბრობთ იმათ შედეგი აინტერესებთ ხომ?!

- *ირაკლი ჩუბინიშვილი: ხო რაღაც სახელს მოვიფიქრებთ 3 დირექტორი რა ხო მასე ითქვას, მთავარი დირექტორი - ომეგა, ფინანსური დირექტორი - მე ფონდს ვუძახი. ფონდი და ჩვენ დაუშვათ კომერციული...*
- 

რაც შეეხება მეორე ფაილს: ის მოიცავს საუბარს, რომელიც შედგა ლევან ყიფიანსა და ომეგას მენეჯერებს შორის და სადაც ომეგას გადასახადების რესტრუქტურის მისაღებად ლევან ყიფიანი ითხოვს 30 მილიონის გარკვეულ პროცენტს და ასევე ავტომობილებს იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრისა და ვიცე პრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილისათვის.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, აუდიო ჩანაწერი შედგება სამი სექციისაგან, რომლებიც აღებულია ერთი, უწყვეტი ჩაწერით მიღებული აუდიო ფაილიდან.

ექსპერტიზის მიხედვით დადგინდა აუდიო ფაილის ის სამი მონაკვეთი, რომლებიც მიმდინარეობს უწყვეტად. ეს მონაკვეთებია:

*ლევან ყიფიანი: აგერ ძმაო გადმოგიფორმეთ 4 მანქანა, რაც ძველი დავალიანება, აქედან მერე რაც ჩამოეჭრება და 30 მილიონიანი რესტრუქტურისა, 30 მილიონის პროცენტი მომეცით.*

---

*ლევან ყიფიანი: 3 მანქანა რომელიც არის, გადმოგიფორმონ, რომ მე კიდე არ გადავადლო ფინანსთა სამინისტრო ერთი მინისტრი და მეორე მინისტრიც. არის ერთი რაღაცა ის რა ქვია.*

*ომეგას მენეჯერი: ერთი მინისტრი, რა ქუმსიშვილს არ გულისხმობ?*

*ლევან ყიფიანი: სხვას, წინა მინისტრსაც ვგულისხმობ.*

*ომეგას მენეჯერი: ხადური ხო ?*

*ლევან ყიფიანი: ხო. ერთი Cooper, X4 და X5*

*ომეგას მენეჯერი: ეს ქუმსიშვილის ?*

*ლევან ყიფიანი: კი, აი ეს სამი მანქანა გადმოგვიფორმდეს, ან ვინმე ვისაც მოვიყვან. გადააფორმონ იმაზე რო მერე მე ჯიჯღინი არ დამაწყებინოთ. რო ის რა რა ქვია. მაიცა და ხვალ იყოს და ზეგ იყოს...*

---

ლევან ყიფიანი: მარა აქ მე მარტო არა ვარ , აქ ვალდებულებებია, ამ ვალდებულებებს ველარ გავექცევი.

ომეგას მენეჯერი: სად , ახალზე ?

ლევან ყიფიანი : ხო.

ომეგას მენეჯერი: და რა ვალდებულებებია?

ლევან ყიფიანი: ფინანსური ვალდებულებები

ომეგას მენეჯერი: ეგ რას ნიშნავს?

ლევან ყიფიანი: რო უნდა გავცეთ ფინანსები.

ომეგას მენეჯერი: ეს ბიუჯეტში თუ რაზე?

ლევან ყიფიანი: არა, არა

ომეგას მენეჯერი: აა აბა ზოგადად?

ლევან ყიფიანი : ხო. ამ მანქანების გარდა!

ომეგას მენეჯერი: აა მანქანების გარდა?

ლევან ყიფიანი: კი.

ომეგას მენეჯერი: მე არ ვიცი.

ლევან ყიფიანი: ჩემგან, ჩემგან უნდა გაიცეს. მე რასაც ავიღებ, იქიდან უნდა გავცე

ომეგას მენეჯერი: ააა...

ამ აუდიო ფაილის მეტა მონაცემების დამუშავების შედეგად დგინდება, რომ ლევან ყიფიანისა და ომეგას მენეჯერებს შორის ზემოხსენებული საუბარი შედგა 2017 წლის 26 აპრილს.

ზემოხსენებული დასკვნების საფუძველზე ექსპერტიზის მიერ დადასტურებულია ჩანაწერების ავთენტიკურობა:

1. ვანო ჩხარტიშვილის, ირაკლი ჩუბინიშვილისა და ზაზა ოქუაშვილის საუბარი, რომლის დროსაც ირაკლი ჩუბინიშვილი ზაზა ოქუაშვილს უხსნის საერთო კომპანიის შექმნის სქემას, უჩა მამაცაშვილის როლს ამ საქმეში და ასევე განმარტავს, რომ „ფონდი“, ანუ „პარტია“ შემოდიოდა საერთო კომპანიაში 50% წილის მფლობელად და ასევე დანიშნავდა ფინანსურ დირექტორს, ხოლო ვანო ჩხარტიშვილი კი აკონკრეტებს, რომ ამ სქემის დროული შექმნით დაინტერესებულია „უფროსი მეგობარი“, შედგა ერთ დღეს და ეთერში გასული აუდიო ჩანაწერი შედგება ერთ დღეს უწყვეტი ჩაწერის შედეგად

მიღებული აუდიო ფაილის სხვადასხვა სექციისგან. შესაბამისად, სიმართლეს არ შეესაბამება ვანო ჩხარტიშვილისა და მისი წარმომადგენლის განცხადებები იმის შესახებ, თითქოს სახეზე იყო 6-7 სხვადასხვა შეხვედრის აუდიო ჩანაწერის მონტაჟი და რომ თითქოს საუბრის მონაწილეები, კერძოდ კი ჩხარტიშვილი და ჩუბინიშვილი, გულისხმობდნენ გადაიარაღების ფონდს და არა პარტიას.

2. ლევან ყიფიანისა და ომეგას მენეჯერების საუბრის ამსახველი აუდიო ფაილი, რომელიც ასევე რუსთავი2-ისა და იბერია ტვ-ს ეთერში გავიდა, შედგება უწყვეტი ჩაწერის შედეგად მიღებული აუდიო ფაილის სამი ნაწილისგან სადაც აზრობრივი წყვეტა არ შეინიშნება.